

ՅՈՒՆԻՑԱԼՈՒ ԹԵՂԱՆԵ

ԱԲԱՑԹԵՐԻ

Խորին առ օդուան այս շաբաթական
կը չկհեծ ի՞ն սպա ոչ սկսած չ և թի
առ զնով ու չկպահ բարեց ։ Մ
դրաւ ու այս տարբեր եւ ոչ ոչ
ու շաբաթա ի՞ն զնով ոչ չ և չկը գո-
տու չուզ։

Տիշով ուղար ու մո ի՞ցի ու ու զըրա
չուզ շաբաթա մո զնով պի առաս
և շաբաթ։

Ելուս բարձրած չ և մուտ պարա-
պա զքեամ, 40 լու յիշաւում, զի՞ն
ու զի՞ն զնով և առաջաւ իմաստ ու-
ժեռուած բայ դիմ ու օգոս տիշու ու
պա դրչեւուն։ Կո լու յիշաւում յար
օգոսի ու 31 նույնիւր, ու 31 զուհուու
և շաբաթա յիշաւու, ոչ ոչ յութու։ Պա սիմի և
յիշաւու, և 40 լու յիշաւում ու ու
բայ առաջաւ ու այս իմաստ ու յիշաւ
կը լի յիշաւ ու յիշաւուն։ Տի, չ ի՞ն
40 լու բայ յիշաւ չ մո յիշաւու,
յու 3 ամ յիշաւու։ Չ
այս օդի այս յիշաւ

ՊՈԵՎՈՊԵ ԵՊԵՎԵԾԸ

თემათიანი 5
თანამდებობა ხილაშელი	
მცირე სახალისეო მუზეუმის დირექტორი	7
გიორგი მასალეგინი	
საქართველოს მთი მიმოსის განზომილებაში	30
გიორგი ბუჭიკაშვილი	
მის კრებულების ერთ სასისი XXI საუკანეში	53
ოქარ ბევრაძე	
ჰიბრიდული რომელ სამხადრო კომპონენტი	68
ბესი ღორლაძე	
ჰიბრიდული რომელ სამართლებრივი გამოწვევები	91
ნიკოლოზ ავლაძე	
სახათაშორისო წილი – ასახვად მოქიდები	
დღისადღო მსოფლიო არსებალი გამოწვევების მიმართ	119
მიხეილ დარჩიაშვილი	
ნაცო ჰიბრიდული საჯაროების პოლიტიკა	144
ქახა გოგოლაშვილი	
კვარკვაციანის ჰიბრიდული საჯაროების პოლიტიკა	177
ქოთა ღვიანერია	
შიდასახელმწიფოებრივი ცისასწავების	
რუსულ იურიად კეცენის ჰიბრიდული სერაციები	
საქართველოსა და უკანონის მაგალითზე	209
გერიბაძე ვიჩოვა	
რესერვის სამუშაოების მიმართება	
ადმინისტრაციული და სამსახურური კვარკვაცი	234
გვი გურგეგი	
მომავალ მიზანი სახალისეო მუზეუმის მშენებლობა	
რესერვის საზღვართან: ისტორიის მაგალითი	258
გიორგი მოლოდინი	
სერაციების კომუნიკაციების მიმართება ჰიბრიდული რომელ	
აირობები საზოგადოების მიზანების შენაჩრეების მიზნით	278
ზურაბ ავლაძე, დათო ჩხეტაძე	
სლავარი სახალმწიფო ჰიბრიდული რომელ	303

კანაბერ ქუებუა	
აუსელი პიგადული როი საქართველოს მინისტრი:	
ავხაზეთის როი მაგალითი.....	320
ანდრია გოცირიძე	
კიბარსაფართხოები და მათთან პროცესს სტაციონული	
მიმართულებები საქართველოს კასაცენტრიდან.....	345
იაგო კაჭკაჭიშვილი	
აუსელი პიგადული როი და საზოგადოებრივი აზრი საქართველოში... 373	
დანართები:	
აღმოსავლეთი ევროპალტა სწორიარების	
პომბარდინება აუსელი პროცეგნის მიზან.....	394
ევროპის პატამანების, ევროპის საგრძნოსა და	
საგრძნოს ერთობლივი კომიტეტი.....	418
ბრიუსელი, 13.6.2018 / JOIN(2018) 16 final	
მასწილებების ფასეულობა განვითარის უნარში.....	434
(გერასიმოვის დოქტრინა)	
აიგარესაფრთხოების პირზე.....	442
08 ივლისი 2016 / პრესრელიზი (2016) 124	
აშ-ის დიპლომატიკის სახარო პიბლიშერება	
აუსათის აქციური მოქმედებები საქართველოში.....	445
2007 July 20, 12:10 (Friday) / CONFIDENTIAL	
გამოყენებული ლიტერატურა	454
სიამინდის განვითარებები ანგარის მიხედვით	480
უსო ენჯი გამოყენებული აპარატურების განვითარება.....	498
ეპონიმი პირგრაფიები.....	501

ნინამდებარე

ნინამდებარე წიგნის შექმნის უმთავრესი ამოცანაა, მკითხველს ნათელი წარმოდგენა შევუქმნათ ჰიბრიდული ომის არსის, განვითარების, საფრთხეებისა და ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალობის შესახებ. წიგნი დიდწილად პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და მომიჯნავე ფაკულტეტების სტუდენტებისა და მკვლევრებისთვის არის განკუთვნილი, თუმცა შესაძლოა საინტერესო საკითხავი აღმოჩნდეს სხვა დაინტერესებული აუდიტორიისთვისაც – იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ენაზე მსგავსი თემატიკის სახელმძღვანელო ან რაიმე სხვა ფუნდამენტური ნაშრომი ჯერ კიდევ არ არსებობს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში „ჰიბრიდული ომის“ შესახებ მსოფლიოში უამრავი ნაშრომი შეიქმნა. სამეცნიერო კვლევები, სტატიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტები, სამხედრო დოქტრინები და სხვ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰიბრიდული ერთი-ერთი ყველაზე აქტუალური და პოპულარული თემაა მკვლევრებსა და ავტორებს შორის. თუმცა, საკითხი დიდწილად ქართველი მკვლევრებისა და ავტორების ყურადღების მიღმა დარჩა. ჩვენში დღემდე გაცილებით მეტი დრო და ინტელექტი იხარჯება კონვენციური ომის შესახებ წერასა და მსჯელობაში, ვიდრე ომის თანამედროვე მეთოდებისა და ფორმების შესწავლა-გაცნობიერებაში. ამ დროს კი, მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ჰიბრიდული ომი შედარებით ნაკლები სამხედრო პოტენციალის მქონე მხარეების გამოგონებაა, არაკონვენციური მეთოდებით ძლიერთა დასამარცხებლად. შესაბამისად, მისი შესწავლა და ადეკვატური სტრატეგიული დაგეგმარება უკვე მრავალი წლის წინ უნდა ქცეულიყო საქართველოსთვის პრიორიტეტულ თემად.

ჰიბრიდული ომის პოლიტიკა ქართული სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ქვაკუთხედი და მთავარი ნარატივია. ფუნდამენტური შესწავლის, კვლევისა და სხვადასხვა მეთოდოლოგიით გამოცდის საფუძვლის გარეშე არსებული პოლიტიკა კი მყიფე და დიდწილად პოპულისტურია, ხშირ შემთხვევებში კი, მარცხისთვის განწირული. აღნიშნული მოსაზრება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც საქმე პატარა სახელმწიფოებს ეხება, სადაც შეზღუდული ადამიანური რესურსების პირობებში, მეცნიერებისა და პოლიტიკის განაცხადთა მომზადების პროცესის დაახლოება ბუნებრივი მოთხოვნილება და აუცილებლობაა. პრაქტიკული კვლევები, ქვეყნის აუცილებლობებზე ორიენტირებული სამეცნიერო ნაშრომები, შესაბამისი დისკუსია და კამათი აკადემიასა და პოლიტიკურ ელიტებს შორის სწორედ პოლიტიკის გაჯანსაღების საფუძ-

ვლად შეიძლება და უნდა იქცეს. თუმცა, ამისთვის მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტები შესაბამისი ლიტერატურით შევაირადოთ.

წინამდებარე სახელმძღვანელო არის პირველი შესაძლებლობა საქართველოში, დაინტერესებულმა მკითხველმა ქართულ ენაზე წაიკითხოს ჰიბრიდული ომის, მისი ყოველი კომპონენტის, ძირითადი გამოწვევების, შესაძლებლობებისა და შეჩერების მეთოდების შესახებ. წიგნი სხვადასხვა თეორიული მასალის ანალიზისა და პრაქტიკული მაგალითების სინთეზით წარმოგიდგენთ არსებულ რეალობასა და მომავლის გამოწვევებს.

სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავში დეტალურად ვისაუბრებთ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებს მცირე სახელმწიფოების მოქმედებებს და რომლებსაც განსაკუთრებული გავლენა აქვთ მათი მხრიდან გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. განვიხილავთ შესაბამის ავტორიტეტულ მოსაზრებებს ისეთი ფაქტორების შესახებ, როგორებიცაა იერარქიისა და ჰეგემონიების არსებობა მსოფლიო პოლიტიკაში, რეგიონალური სტრუქტურები, ადგილობრივი, შიდაპოლიტიკური ფაქტორები, მათ შორის საზოგადოების განწყობები, კონკურენტული ისტორიული ეპოქის გავლენა, დროის ფაქტორი – განსაკუთრებით, გრძელვადიანი დაგეგმვის დროს, საერთაშორისო წესრიგი, მოქმედების სავალდებულო წესები და პროცედურა და სხვ.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის განხილვას. მათ შორის, ომისა და მშვიდობის საერთაშორისო-სამართლებრივ რეჟიმსა და მის ხარვეზებს, მსოფლიო თანამეგობრობის გადაწყვეტილებების აღსრულების შესაძლებლობებსა და ნაკლივანებებს, რომლებიც ასუსტებს და ლეგიტიმაციას უკარგავს საერთაშორისო სამართლებრივ სისტემას. შესაბამის თავებში დეტალურად განვიხილავთ გაეროს, ნატოსა და ევროკავშირის როლსა და ადგილს, თანამედროვე გამოწვევებთან ადაპტაციის მათ უნარს. გავაანალიზებთ გლობალური ინსტიტუტების დონეზე მომწიფებული და მომზადებული რეფორმების მარცხის მიზეზებსა და მძიმე შედეგებს, რომლებიც შესაძლოა სტატუს-კვოს შენარჩუნებამ გამოიწვიოს.

წინამდებარე სახელმძღვანელო არის პირველი მცდელობა, ერთ წიგნში მოგვეყარა თავი დარგის როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ექსპერტებისთვის და მკითხველისთვის ჰიბრიდული ომის მრავალმხრივი განხილვისა და ანალიზის შესაძლებლობა მიგვეცა.

იმედს ვიტოვებთ, წიგნი მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსად იქცევა და იმავდროულად, საინტერესოდ საკითხავი აღმოჩნდება ფართო მკითხველისთვისაც.

აცცორის ბიოგრაფია

თინათინ ხიდაშელი

თინათინ ხიდაშელი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეის“ თავმჯდომარეა. ორგანიზაცია ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან ერთად მუშაობს მრავალი სხვადასხვა ხასიათის პროექტზე და იკვლევს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს.

იგი კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მოწვეული პროფესორია.

სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქ. თბილისის საკრებულოსა და საქართველოს პარლამენტში, სადაც ხელმძღვანელობდა საპარლამენტო საგამომძიებლო კომისიასა და ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტს; იყო ქვეყნის თავდაცვის პირველი ქალი მინისტრი.

თავისი კარიერის დასაწყისიდან, 15 წლის განმავლობაში იგი ადამიანის უფლებების ადვოკატი და სამოქალაქო აქტივისტი იყო. 1994 წელს კოლეგებთან ერთად დააფუძნა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელსაც 8 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. იყო პრეზიდენტთან არსებული ანტიკორუფციული საბჭოსა და იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგის საბჭოს წევრი. არასამთავრობო სექტორში საქმიანობის პერიოდში თინათინ ხიდაშელი იყო მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტი და მრჩეველი. არჩეული იყო წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაციის (OMCT) აღმასრულებელი საბჭოს წევრად.

თინათინ ხიდაშელი განათლებით იურისტია. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მაგისტრატურა საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. ასევე ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრატურა პოლიტიკური მეცნიერებების სპეციალობით. იყო ადამიანის უფლებათა სამართლის სკოლის სტიპენდიატი ჯორჯ ვაშინგტონის სამართლის სკოლაში და იელის უნივერსიტეტის „World Fellows Program“-ის რჩეული.

თინათინ ხიდაშელს აშშ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისგან მიღებული აქვს „თავისუფლებისთვის მებრძოლის ჯილდო“ და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის „გავლენის ჯილდო“ განსაკუთრებული პროფესიული მიღწევებისთვის.





გიორგი მასალკინი

გიორგი მასალკინი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. დაამთავრა როსტოკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიაში. კითხულობს კურსებს ფილოსოფიის სხვადასხვა დისციპლინაში, მათ შორის პოლიტიკურ ფილოსოფიაში. მანამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო კვლევების განყოფილების მეცნიერ-მუშავი და ფონდ „ლია საზოგადოება — საქართველოს“ უმაღლესი განათლების პროგრამების ექსპერტი. ფაკულტეტების განვითარების საერთაშორისო პროგრამით (FDFP) მუშაობდა მიწვეულ მკვლევრად სოციალური კვლევების ფაკულტეტზე ნიუ-იორკის უნივერსიტეტ „ახალ სკოლაში“.

იგი არის სამეცნიერო სტატიების ავტორი, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო გამოცემებში ინგლისურ და რუსულ ენებზე.

აკადემიურ საქმიანობასთან ერთად გიორგი მასალკინი აქტიურად მისდევს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. სამჯერ იყო არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად. აგრეთვე წარმოადგენდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესში.



გიორგი ბუტიკაშვილი

გიორგი ბუტიკაშვილი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ტეხასის უნივერსიტეტის პროგრამის მკვლევარია. მისი კვლევის საგანია „რუსეთის თანამედროვე ომის წარმოების თეორიები და პრაქტიკა“. იგი მუშაობს კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობაში პროგრამის მენეჯერად. არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და კითხულობს სალექციო კურსს თანამედროვე გერმანიის პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის შესახებ. გიორგი ბუტიკაშვილს მინიჭებული აქვს გერმანიის კათოლიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა

და საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. მან გაიარა გერმანიის ბუნდესტაგის საპარლამენტო სტაჟირება, მანამდე კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოიპოვა საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის წოდება.

ომარ ბეგოიძე

პოლკოვნიკი ომარ ბეგოიძე ამჟამად სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მრჩეველია. მანამდე მსახურობდა ეროვნული გვარდიის უფროსის მოადგილედ, დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი პირველ მოადგილედ.

დაამთავრა ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფრანგული ენის განხრით და იმავე უნივერსიტეტის სამხედრო კათედრაზე მიიღო არტილერიისტის სპეციალობა. დამთავრებული აქვს საფრანგეთის არმიის საშტაბო სკოლა და საფრანგეთის არმიის ომის კოლეჯი.



იგი მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოში იფიცერ-ექსპერტად, შემდეგ მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე გენერალური შტაბის პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ სამმართველოში სამმართველოს უფროსად. ამ პერიოდში მიიღო კაპიტნისა და მაიორის წოდებები. მსახურობდა საქართველოს სახმელეთო ძალების სარდლობაში ოპერატიული დაგეგმვის უფროს იფიცირად და მიიღო ვიცე-პოლკოვნიკის წოდება, ასევე გენერალური შტაბის J5-სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე და დეპარტამენტის უფროსად. იყო სამხედრო-დიპლომატიურ პოზიციებზე: საქართველოს სამხედრო წარმომადგენლად ნატოს შტაბ-ბინაში და საქართველოს თავდაცვის ატაშედ საფრანგეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებსა და ლუქემბურგში. აქვს პოლკოვნიკის წოდება. დაჯილდოებულია საქართველოსა და საფრანგეთის მედლებით.

არის თავდაცვისა და უსაფრთხოების ტერმინთა ფრანგულ-ქართული და ქართულ-ფრანგული ლექსიკონის ავტორი.



ბესიკ ლოლაძე

ბესიკ ლოლაძე სამართლის დოქტორი (პოგვადამის უნივერსიტეტი, გერმანია, *summa cum laude*) და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორია.

მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის იუსტიციის მინისტრის მოადგილედ. იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს

თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

იგი იყო გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურისა (DAAD) და მაქს ბლანკის საზოგადოების სტიპენდიატი. სტიპენდიების ფარგლებში ატარებდა სამეცნიერო კვლევას ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს თემებზე. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.



ნიკოლოზ აგლაძე

ნიკოლოზ აგლაძე ამჟამად სსიპ „დელტას“ სამხედრო მრჩეველია. თავისი კარიერის განმავლობაში იგი მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, მირითადად სამხედრო განათლების სფეროში. მუშაობდა სამხედრო ინსტრუქტორად სხვადასხვა დონის საკარიერო კურსებზე, სადაც მონაწილეობდა სამხედრო ლიტერატურისა და დოქტორინების შემუშავებაში. მოგვიანებით იგი დაინიშნა ეროვნული თავდაცვის აკადემიის კომენდანტად. ამავე დროს

იგი აქტიურად იყო ჩართული სამხედრო საბაკალავრო პროგრამების შემუშავებასა და დახვენაში.

ნიკოლოზ აგლაძე მსახურობდა სახმელეთო ჯარების სარდლის პირველ მოადგილედ და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ. აქ იგი საკადრო პოლიტიკასა და სამხედრო განათლებას კურირებდა.

დაამთავრა გაერთიანებული სამხედრო აკადემია და მიიღო ისტორიის ბაკალავრის ხარისხი. სწავლობდა გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის აკადემიაში და დაამთავრა სამეთაურო-საშტაბო კურსი (ACSC). აგრეთვე სწავლობდა ლონდონში, თავდაცვის სამეფო კოლეჯში (RCDS).

მიხეილ დარჩიაშვილი

მიხეილ დარჩიაშვილი სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტში — დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში. არის საქართველოს ატლანტიკური საბჭოს წევრი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) გამგეობის წევრი, აფილირებული პროფესორი და ლექტორი თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. აქვს მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება დიპლომატიასა და საერთაშორისო ურთიერთობებში.



მიხეილ დარჩიაშვილის დიპლომატიური კარიერა დაიწყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკურ დეპარტამენტში. მუშაობდა ჯერ პირველი მდივნის, შემდგომ კი პოლიტიკური მრჩევლის პოზიციებზე ნატოსთან საქართველოს მისამი, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოში, თავდაპირველად უფროსი მრჩევლის, შემდგომ კი საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის პოზიციებზე.

ეკავა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა, სადაც მის საპასუხისმგებლო მიმართულებებს წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობები (განსაკუთრებული აქცენტი აშშ-საქართველოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობასა და ნატოში გაწევრიანების საკითხებზე) და თავდაცვის პოლიტიკა და დაგეგმვა.

მიხეილ დარჩიაშვილს მინიჭებული აქვს სახელმწიფო მართვის მაგისტრის (MPA) ხარისხი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ.

კახა გოგოლაშვილი

კახა გოგოლაშვილი საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორია. აქვს აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში, ჟურნალისტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში. მისი პროფესიული გამოცდილება მოიცავს სასწავლო და კვლევით ინსტიტუტებს, დაპლომატიურ სამსახურსა და ევროპული ინტეგრაციის საკითხებზე



მომუშავე საერთაშორისო ტექნიკური დახმარებისა და სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტებს. ასრულებდა ევროკავშირში საქართველოს მისი ხელმძღვანელის მოვალეობას, ხელმძღვანელობდა ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტს საგარეო საქმეთა სამინისტროში, აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დეპარტამენტის კულტურისა და სამეცნიერო და ანალიტიკურ ნაშრომებს კულევებს და აქვეყნებს სამეცნიერო და ანალიტიკურ ნაშრომებს ევროპული ინტეგრაციის, მათ შორის ევროპული უსაფრთხოების საკითხებზე.

იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სამი მოწვევის მმართველი კომიტეტის წევრი, საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე. არის საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის თანათავმჯდომარე.



შოთა ლვინერია

შოთა ლვინერია მუშაობს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევების ცენტრში უფროსი მკვლევრის პოზიციაზე. ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საქართველოს საჯარო სამსახურში. ბოლო პერიოდში მსახურობდა ეროვნული უშიშროების საბჭოში მდივნის მოადგილის თანამდებობაზე. მანამდე მუშაობდა უსაფრთხოების პოლიტიკასა და ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო და-ვალებათა ელჩი. წინა პერიოდში მუშაობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩევლად.

შოთა ლვინერია მივლინებული იყო მრჩევლად ნატოში, საქართველოს მისიაში, იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში. ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროში ეკავა ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორისა და ნატოს სამმართველოს უფროსის თანამდებობები.

დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა და მოიპოვა საჯარო მოხელის მაგისტრის წოდება. გახდა მადრიდის დიპლომატიური აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი. მინიჭებული აქვს აშშ-ის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის უსაფრთხოების სტრატეგიულ სწავლებათა მაგისტრის ხარისხი.

ვერონიკა ვიხოვა

ვერონიკა ვიხოვა არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპული ღირებულებების ცენტრის“ ანალიტიკოსი და კრემლის საქმიანობის მონიტორინგის პროგრამის ხელმძღვანელია. იგი თანაავტორია ატლანტიკური საბჭოს მიერ გამოცემული კვლევისა „როგორ წარმოადგენს კრემლის პროპაგანდა ევროპელ ლიდერებს“. ამას გარდა, ვერონიკა ვიხოვას თანაავტორობით გამოცემულია კიდევ ერთი კვლევა: „კრემლის გავლენის ოპერაციებზე ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს კონტრზომების მიმოხილვა“. იგი ამზადებს ყოველკირეულ საინფორმაციო ცნობარს „კრემლის მონიტორინგის ბრიფინგი“, დეზინფორმაციისა და გავლენის ოპერაციების შესახებ, რომელიც 7000-მდე ევროპელ მკვლევარს, უურნალისტსა და საჯარო მოხელეს ეგზავნება.



ვერონიკა ტრანსატლანტიკური პროგრამის სტიპენდიატია, რომელსაც უცხოეთის ამბების უურნალი ვაშინგტონში მასპინძლობს. პროგრამის მოქმედების დროს იგი სენატორი რობ პორტმანის ოფისში მსახურობდა.

2017 წელს გაიარა უსაფრთხოების ახალი ლიდერების პროგრამა.

ივო იურვეე

დოქტორი ივო იურვეე თავდაცვისა და უსაფრთხოების ცენტრის მკვლევარი და უსაფრთხოებისა და მედევობის პროგრამების ხელმძღვანელია. მას სხვადასხვა უწყებაში უსაფრთხოების სფეროში საქმიანობის 13-წლიანი გამოცდილება აქვს. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა: ესტონეთის საჯარო სამსახურში, როგორც ესტონეთის მთავრობის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოორდინაციის დეპარტამენტის მრჩეველი და ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებათა აკადემიის შიდა ინსტიტუტის ხელმძღვანელი. ამავე დროს იგი ასწავლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს ტარტუს უნივერსიტეტში, ესტონეთის ეროვნული თავდაცვის კოლეჯში, ობერმანენგაუს ნატოს სკოლაში და, აგრეთვე, საზღვრის დაცვის კურსს ევროკავშირის სასაზღვრო სამსახურის ფრონტექსის მაგისტრატურის პროგრამაში.



ივო იურვეემ დაამთავრა მაგისტრატურა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში. იგი იყო წარჩინებული მკვლევარი ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის სლავურ და აღმოსავლეთევროპულ მეცნიერებათა სკოლაში. მიიღო დოქტორის ხარისხი ტარტუს უნივერსიტეტის „ომამდელი ესტონეთის საინფორმაციო უსაფრთხოება“.

ივო იურვეეს პროფესიული და აკადემიური კვლევის ინტერესის საგანია საინფორმაციო ომი და დაზვერვის სამსახურების როლი. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია და ორი მონოგრაფია სადაზვერვო სამსახურების ისტორიის შესახებ.



გიორგი მოლოდინი

გიორგი მოლოდინი ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას „სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი — საქართველო“. არის პროექტ „საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონის“ დამფუძნებელი.

დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატი პოლიტოლოგიის სპეციალობით. სწავლა განაგრძო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA), სადაც მიიღო ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის მაგისტრის ხარისხი. მუშაობდა სხვადასხვა მედიასაშუალებაში ჟურნალისტად და დაინტერესებული იყო საგამომძიებლო ჟურნალისტიკით. მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტში“. იყო სხვადასხვა თანამდებობაზე საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროებსა და უშიშროების საბჭოში.



ზურაბ აგლაძე

ზურაბ აგლაძე „საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელია. ამავე დროს არის პროექტების, ავანი ჰესისა და ხრამის კასკადის მენეჯერი. GIPA-ში კითხულობს კურსებს „კონფლიქტოლოგია“ და „საქართველოს სამეზობლოს გეოპოლიტიკა“. მას 18-წლიანი გამოცდილება აქვს საერთაშორისო ურთიერთობების, თავდაცვის, საგანმანათლებლო სფეროსა და მენეჯერულ საქმიანობაში.

ზურაბ აგლაძე იყო სამშვიდობო ოპერაციების ცენტრის სწრაფი რეაგირების ბატალიონის, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების ასეულისა და სპეციალური ოპერაციების სკოლის საბჭოს თავმჯდომარე, მეთაურობდა მე-16 სამთო მსროლელ ბატალიონს, ქვეითთა მე-2 ბრიგადას. იყო საქართველოს უფროსი სამხედრო წარმომადგენელი ერაყში. მეთაურობდა ქვეითთა მე-5 ბრიგადას, იყო სახმელეთო ჯარების სარდალი, წვრთნების, დოქტრინებისა და განათლების სარდალი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი, ხელმძღვანელობდა კომპანია Dexus-ის ჯგუფის უსაფრთხოებას.

ზურაბ აგლაძემ დაამთავრა გაერთიანებული სამხედრო აკადემია ბაკალავრის ხარისხით; საბერძნეთში გაიარა სამშვიდობო ოპერაციების მომზადებისა და დაგეგმვის კურსი; აშშ-ში, ფორტ ბენინგში — მსუბუქ ქვეითთა ოფიცრის საბრძოლო კურსი, რეინჯერების კურსი და საპარაშუტო სადესანტო სკოლა; აშშ-ში სწავლობდა სამეთაურო საშტაბო კოლეჯში; დაამთავრა აშშ-ს არმიის ომის კოლეჯი და მიიღო მაგისტრის ხარისხი სტრატეგიასა და უსაფრთხოებაში. აქვს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) დოქტორის ხარისხი ენერგოუსაფრთხოებაში.

დავით ჩხეტიანი

დავით ჩხეტიანი სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი და საქართველოს შეიარაღებული ძალების ვიცეპოლკოვნიკია. ამჟამად მსახურობს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სახმელეთო ძალების დასავლეთ სარდლობის შტაბის უფროსის თანამდებობაზე.

იმყოფებოდა სამშვიდობო მისიებში, კოსოვოში, ერაყის რესპუბლიკასა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში.

2006-2008 წლებში იგი მუშაობდა უსაფრთხოების სპეციალისტად ერაყის რესპუბლიკაში აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის კონტრაქტებზე.

მას გავლილი აქვს ლონდონის სამეცნიერო კოლეჯისა და ბრიტანული ჩარტერული მენეჯმენტის ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამები და ასევე მოიპოვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ნაშრომით „ჰიბრიდული ომი: სტრატეგია და ტაქტიკა“.

წარჩინებით დაამთავრა საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია და ბუნდესვერის არტილერიისა და ოფიცერთა სკოლები. კარიერის



განმავლობაში მსახურობდა სპეციალური დანიშნულების ძალებში, სახმე-ლეთო ჯარების სხვადასხვა ქვედანაყოფსა და თავდაცვის ეროვნულ აკა-დემიაში, მათ შორის, ბრიგადის შტაბის უფროსის, კაპიტნის საკარიერო სკოლის მეთაურისა და სამეთაურო საშტაბო კოლეჯის მეთაურის თანამ-დებობებზე. წარჩინებით დამთავრა აშშ-ის მანევრის კაპიტნის საკარიე-რო კურსი და დიდი ბრიტანეთის სამეფოს თავდაცვის აკადემიის ერთო-ბლივი ძალების სამეთაურო საშტაბო კოლეჯი.



კახაბერ ესებუა

კახაბერ ესებუა თავდაცვისა და უსაფრ-თხოების სფეროს სპეციალისტია. ამჟამად მუ-შაობს თავდაცვის სამინისტროში უსაფრთხოე-ბისა და თავდაცვის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. გასული ათწლეულის განმა-ვლობაში მუშაობდა გენერალურ შტაბსა და თავდაცვის სამინისტროში სხვადასხვა პოზი-ციაზე. მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი სტრატეგიულ (უსაფრთხოების) კვლევებში Naval Postgraduate School-ისგან (აშშ, კალიფორნია, მონტერეი) შავი ზღვის უსაფრთხოებასა და ამ რეგიონში რუსეთის წვდო-მისა და მანევრის შეზღუდვის ოპერაციების (A2/AD) საპირისპიროდ. კახა-ბერ ესებუა სპეციალდება რუსეთზე, მის სამხედრო სტრატეგიაზე, სამხე-დრო რეფორმებისა და მოდერნიზაციის პროცესზე, ჰიბრიდულ ომებსა და A2/AD ოპერაციებზე.



ანდრია გოცირიძე

ანდრო გოცირიძე კიბერუსაფრთხოების სა-განმანათლებლო კვლევითი ცენტრის (CYSEC) დამფუძნებელია. იყო სს „პრივატბანკისა“ და სს „პანკ კონსტანტიას“ უსაფრთხოების დეპარ-ტამენტის უფროსი. სხვადასხვა დროს მუშაობ-და თავდაცვის სამინისტროსა და სადაზვერვო სამსახურების ხელმძღვანელ თანამდებობებზე; იყო თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრ-თხოების ბიუროს დირექტორი, გენერალური ინსპექტორი. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა ეროვნული და თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოე-ბის პოლიტიკა და სტრატეგიები, საფუძველი ჩაეყარა კიბერრეზერვის

პროექტს და სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცების კიბერუსა-ფრთხოების სფეროში ტრენერებად ინტეგრაციას, დაინერგა კიბერცნობიერების ამაღლების მრავალკომპონენტიანი სისტემა. იგი კითხულობს ლექციებს შავი ზღვის საერთაშორისო და კავკასიის უნივერსიტეტებში, ასევე რონდელის ფონდის მიერ ორგანიზებულ საჯარო მოხელეთა სასწავლო კურსზე. არის NATO PFPC-ის მიერ შექმნილი Cyber Security Generic Reference Curriculum-ის თანაავტორი.

იაგო კაჭკაჭიშვილი

იაგო კაჭკაჭიშვილი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სოციოლოგიის დოქტორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

აკადემიური საქმიანობის პარალელურად იგი აქტიურად არის ჩართული სოციალურ კვლევებში. არის არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ (ISSA) ხელმძღვანელი. მიღებული აქვს მონაზილეობა 60-ზე მეტ კვლევით და აკადემიურ პროექტში, როგორც პროექტის დირექტორს და/ან ანალიტიკოსს. არის 6 მონოგრაფიისა და 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი/თანაავტორი, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო გამოცემებში ინგლისურ და რუსულ ენებზე. არის საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალის (Social Policy and Social Work in Transition) თანარედაქტორი (გამოიცემა დიდ ბრიტანეთში). იაგო კაჭკაჭიშვილი, როგორც ანალიტიკოსი და სოციალური შეფასების ექსპერტი, თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ევროკავშირი, გაეროს ორგანიზაციები და სხვა).

სწავლობდა თსუ-ში, ჯერ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფილოსოფიაში, ხოლო შემდეგ კი სადოქტორო დისერტაცია სოციოლოგიაში. კითხულობს კურსებს, როგორც სოციალური თეორიების, ისე კვლევის მეთოდების სფეროში.

